

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# ჯანმრთელობის დაცვის მარვენებლები

2021



29.07.2022

### ჯანმრთელობის დაცვის მაჩვენებლები (2021 წელი)

2021 წლის მონაცემებით, საქართველოში ფუნქციონირებდა 268 საავადმყოფო, საწოლთა ფონდი კი 20.6 ათასს შეადგენდა, რაც 11.0 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. საავადმყოფოში დაყოვნების მაჩვენებელმა 6.2 დღე შეადგინა (2020 წელს - 5.6 დღე), ხოლო დატვირთვამ - 201.2 დღე (2020 წელს - 190.7 დღე).

ქვეყანაში ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების რაოდენობა 2 272 ერთეულს შეადგენდა. აღნიშნულ დაწესებულებებში ექიმთან მიმართების რიცხვი წლის განმავლობაში 15 003 ათასს გაუტოლდა, რაც 9.6 პროცენტით აღემატება 2020 წლის შესაბამის მაჩვენებელს.

2021 წლის მონაცემებით, სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული ექიმების რიცხოვნობამ 22.5 ათასი შეადგინა, ხოლო საექთნო პერსონალის რიცხოვნობამ - 21.7 ათასი<sup>1</sup>.

წინაწელთან შედარებით, პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებული დაავადებების რაოდენობა გაზრდილია თითქმის ყველა დაავადებათა ძირითადი ჯგუფისთვის. კერძოდ, თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობების მაჩვენებელი გაიზარდა 37.5 პროცენტით, ენდოკრინული სისტემის, კვლევებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოვლენილი დაავადებების - 35.5 პროცენტით, ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების - 34.3 პროცენტით, ძვალ-კუნთოვანი სისტემის და შემადგენელი ქსოვილების დაავადებების - 28.1 პროცენტით, ხოლო ყურისა და დვრილისებრი მორჩის დაავადებების - 21.1 პროცენტით. ბოლო ათწლიანი პერიოდის განმავლობაში, ყველაზე მაღალი მაჩვენებლები 2015 წელს ფიქსირდებოდა.

ავადობის ძირითადი ჯგუფებიდან მოსახლეობაში ყველაზე მეტად გავრცელებულია სასუნთქი სისტემის, სისხლის მიმოქცევის სისტემის, შარდ სასქესო სისტემის, ძვალ-კუნთოვანი სისტემის და შემადგენელი ქსოვილებისა და თვალისა და მისი დანამატების დაავადებები.

2021 წელს შიდსით დაავადების ახალი შემთხვევების რაოდენობამ, წინა წლის ანალოგიურად, 530 ერთეული შეადგინა. 2021 წლის ბოლოსთვის შიდსით დაავადებულთა მთლიანი (კუმულატიური) რიცხოვნობა 9 162 ერთეულით განისაზღვრა, ხოლო წლის განმავლობაში დაფიქსირდა შიდსით გარდაცვალების 138 შემთხვევა.


ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია აივ ინფექცია/შიდსის ახალ შემთხვევათა რაოდენობა 2012-2021 წლებში.

<sup>1</sup> 2020 წლიდან მონაცემები ექიმებისა და ექთნების რიცხოვნობის შესახებ, ეფუძნება ჯანდაცვის მუშაკთა პერსონიფიცირებული აღრიცხვის სისტემას.

29.07.2022

დიაგრამა №1

აივ ინფექცია/შიდსის შემთხვევათა რაოდენობა (ახალი შემთხვევები)  
(კაცი)




2021 წელს 10.0 პროცენტით შემცირდა მოსახლეობის ავადობა ტუბერკულოზით და 1 647 ერთეული შეადგინა. ასევე, 11.2 პროცენტით შემცირდა ახალი შემთხვევების რაოდენობა. ბოლო ათწლიანი პერიოდის განმავლობაში, ტუბერკულოზის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2012 წელს დაფიქსირდა (4 973 კაცი).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსახლეობის ავადობა ტუბერკულოზით 2012-2021 წლებში.

29.07.2022

დიაგრამა №2

მოსახლეობის ავადობა ტუბერკულოზით  
(კაცი)



2021 წელს სასწრაფო დახმარების მეშვეობით პირველადი სამედიცინო დახმარება დაახლოებით 1.2 მილიონ ადამიანს გაენია, საიდანაც შემთხვევების 98.9 პროცენტი უცაბედ ავად გახდომას უკავშირდებოდა.

საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: [vtsakadze@geostat.ge](mailto:vtsakadze@geostat.ge)

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: [mkavelasvili@geostat.ge](mailto:mkavelasvili@geostat.ge)